საქართველოს შემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წლიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 585 კვირა, სექტემბრის 30 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 200,000


## ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიცია

(ყოფილ პარტ.-საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორა რუსთაველის პრ. 26)

აუწყებს ხელის მომწერლებს,

**რომ მოსკოვის გაზეთებზე მიღება ხელის მოწერა 1-ლ ოქტომბრ.**

ფასები დადებულია ჩერვონეცის მანეთებით.

| გაზეთები: | | ჟურნალები: | |
|---|---|---|---|
| იზვესტია ვ. ც. ი. კ. | 2 | ბეზბოჟნიკ | 1 |
| პრავდა | 2 | კრასნაია ნივა | 1.50 |
| ბედნოტა | 1.50 | ოგონიოკ | 1.50 |
| ეკონომიჩესკაია ჟიზნ | 2 | პროჟექტორი | 1 |
| ტ რ უ დ | 2 | ე ხ ო | 1 |
| რაბოჩაია მოსკვა | 1.75 | ვსემირნაია ილიუსტრაცია | 1 |
| გ უ დ ო კ | 1.75 | დრეზინა | 1 |
| კოოპერატივნოე დელო | 1.50 | კრესტიანკა | 1 |
| რაბოჩაია გაზეტა კროკოდილით | 2.25 | რაბოტნიცა | 70 |
| კრასნაია გაზეტა | 1.50 | | |
| ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა | 2 | | |
| ნაკანუნე | 2.25 | | |

ექსპედიციის გამგე ჩეჩელაშვილი.

3—3


## დ ღ ი უ რ ი

— იტალეთის ესკადრა ისევ მობრუნდა კორფუზედ.

— კორფუზედ მოხდა ახალი ინციდენტი.

— ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი ფიმენი თხოულობს კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების კავშირს.

— ს. ს. რ. კ. სულ ითვლება 600.000 უმუშევარი.

— გერმანიამ გააუქმა ყველა განკარგულებანი წინაალმდეგობის შესახებ.

— გერმანიაში ელიან სამოქალაქო კომისრების დანიშვნას.

— 30 სექტემბერს ელიან რეინის რესპუბლიკის გამოცხადებას.

— ბოლგარეთში ბრძოლები გრძელდება.

— აჯანყებულებმა დაიჭირეს ვიდინი, პლევნა და ტირნოვი.

— ინგლისის კაბინეთმა მოიწონა ბალდვინის მოხსენება პუანკარესთან თათბირის შესახებ.

— ლიტვამ სცნო რუსეთი.


გაზეთი „ტრიბუნა“

ოქტომბრის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . . 5.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 7.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 250.000 „


## გერმანეთის საკითხი

გერმანეთის საკითხი ცენტრალი საკითხია დღეს პოლიტიკური ცხოვრებისათვის. დღითი დღე მწვავდებოდა და ღრმავდებოდა ის კრიზისი, რომელმაც უკვე დაგვაყენა სამოქალაქო ომის დასაწყისის წინაშე. კოალიციონური მთავრობა გაეხვია წინაალმდეგობის ქსელში. მარცხიდან და მარჯვნიდან ძლიერმა იერიშმა იგი აიძულა პასიური წინაალმდეგობა შეეწყვიტა რურში და კაპიტულიაციაზედ წასულიყო საფრანგეთის მიმართ. ეს ნაბიჯიც თავისი მხრით მიზეზი გახდა მღელვარების და დღეს, როგორც დეპეშები გადმოგვცემს მთელს გერმანეთში საალყო წესებია შემოღებული. ბავარიაში ცნობილი ფაშისტი კარი ავიდა დიქტატურის პოსტზედ. გერმინეთში თავდაცვის მინისტრი გესლერი დაინიშნა დიქტატორად.

ამ რიგად კოალიციონური მთავრობის დემოკრატიულმა ლაყბობამ ქვეყანა მიიყვანა არა მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში, არამედ ანარქიის მორევში, რომელმაც შვა ბავარიაში ფაშისტის დიქტატურა, ხოლო გერმანეთში „დემოკრატის“.

ეს გართულებული გარემოება, სამოქალაქო ომის დასაწყისი იწვევს ძალთა გადაჯგუფებას. ნაციონალისტები ფაშისტების მხარეზედ გადადიან და აწყობენ რაზმებს, იარაღს იღებენ ხელში. საქსონიაში სისხლის მღვრელი შეტაკებანია. ს-ც-დემოკრატია კი კვლავ დემოკრატიულ ლაყბობით შტრეზემანს უდგას გვერდში.

იგი ითმენს გესლერის დიქტატურას: ფაშისტურ გამოსვლებს, მაგრამ ვერ ურიგდება მუშათა მოძრაობას, მუშათა დიქტატურისათვის ბრძოლას.

კოალიციონური მთავრობა დღეს სტატისტის როლშია, რადგან თანახმად ებერტის განკარგულების მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება გესლერის ხელშია გადასული და საალყო წესებით გამაგრებული.

ებერტი გერმანეთის ხალხს მანიფესტით მიმართავს, აღნიშნავს, რომ მთავრობა ხელს არ მოაწერს ისეთ შეთანხმებას, რომელიც გერმანეთს ჩამოაცლის თუ გინ ერთ მტკაველა მიწას და მოუწოდებს, რომ „მამაცობით გადაიტანოთ მოსალოდნელი მძიმე ამბები“.

ეს „მძიმე ამბები“ მართლაც, რომ ვინმეს გადაიტანს. გადამწყვეტი ბრძოლის პერიოდში შედის ძალთა დაპირისპირება. გერმანეთი ან ფაშისტური ან კომუნისტური—ასეთია სინამდვილის მოთხოვნა.

ჯერ-ჯერობით ერთი მაინც აშკარაა შტრეზემან-ჰილფერდინგის პოლიტიკა გაკოტრდა, კოალიციონური მთავრობა ველარ შველის ქვეყანას და ძალთა ახალი გადაჯგუფის წინაშე ვართ, რომელსაც უნდა მოყვეს ბრძოლა არსებითი, რადიკალური, გადამწყვეტი.

გერმანეთის მშრომელ ხალხს დიდი ისტორიული მისია აქვს შესასრულებელი. მან უნდა იხსნას არა მარტო თავის არსებობა, არამედ გერმანეთის ერიც.

მანვე უნდა ჩაუყაროს მტკიცე საფუძველი ევროპის რეაქციის აღსასრულს.

## რადიო-დეპეშები

### „ზაკროსტას“ ცნობები 29 სექტემბრ.

#### გერმანიის ამბები.

საფრანგეთის პრესა გერმანიის ამბებს დიდ ყურადღებას არ აქცევს და ფიქრობს, რომ მასას უფრო ეინტერესება სიძვირე, ვიდრე პოლიტიკა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა აცხადებს, რომ საფრანგეთი ვერ დაკმაყოფილდება მარტო წინაალმდეგობის შეწყვეტით, თუ გერმანია არ აღადგენს რურში მუშაობას და არ შეუდგება სარეპარაციო ხარჯების გადახდას.

ოფიციალურად გაუქმებულია ყველა განკარგულებანი პასიური წინაალმდეგობის შესახებ. მთავრობა მოუწოდებს დაუყოვნებლივ აღადგინონ მუშაობა ოკუპაცია ქმნილ ოლქებში.

ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრება არ დაუშვა პოლიციამ.

მოსალოდნელია მთელს გერმანიაში სამოქალაქო კომისრების დანიშვნა. პრუსიის სამოქალაქო კომისრად დანიშნულია ზევერინგი.

ბერლინის პრესის ცნობით, სეპარატისტების მოქმედება ძლიერდება და 30 სექტემბერს აპირებენ რეინის რესპუბლიკის გამოცხადებას.

კომუნისტების მოწოდებამ საპროტესტოდ 24 საათის გაფიცვის გამოცხადების შესახებ მუშებში დიდი გამოძახილი ჰპოვა. გინზენკირხენში შესდგა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 30,000 მუშამ.

გიტლერი წინაალმდეგია კირას განკარგულებისა პოლიტიკურ კრების აღკრძალვის შესახებ. მან განაცხადა, რომ, თუ ეს განკარგულება არ გაუქმდა, მაშინ შებრძოლ ორგანიზაციების გამოსვლის შემთხვევაში, თვითონ ჩაუდგება მოძრაობას სათავეში.

მიუნხენის მუშები წინაალმდეგი არიან კარას დანიშვნისა და მოითხოვენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოწვევას.

ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ კარას დანიშვნით თავიდან აცილებულია გიტლერის გადატრიალების საშიშროება. გაზეთები „ფოსიშე ცეიტუნგი“ და „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ ფიქრობენ, რომ კარასა და გიტლერს შორის დიდი უთანხმოება არ არსებობს და ორივენი ელოდებიან მომენტს ფაშისტური განზრახვების შესასრულებლად.

ნაუენიდან მიღებულ ცნობით, მიუნხენში სრული წესიერებაა. გიტლერი რჩება ოპოზიციაში კაროს მიმართ.

ბავარიის ჯარების სარდლად დაინიშნა ლოესოვი, რომელმაც აღკრძალა ყოველგვარი კრებები.

ტიურინგიის კომპარტია აცხადებს, რომ იგი მოსალოდნელ საშიშროების გამო მზადაა მხარი დაუჭიროს მთავრობას, ხოლო შემდეგის პირობები; 1) ბავარიის საზღვარზედ დაარსდეს, პროლეტარული თავდაცვის რაზმები, 2) მოწვეულ იქმნეს მუშათა პარტიების კონფერენცია საქსონიის და ტიურინგიის მთავრობებთან ერთად, ბავარიის რეაქციასთან საბრძოლველად და ზომების გამოსამუშავებლად.

ანნებერგში (საქსონია) მუშათა და ფაშისტთა შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება.

გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს საალყო წესები გამოიყენოს საქსონიის საწინაალმდეგოდ.

რურში ტრანსპორტის მუშებმა უარი სთქვეს ფრანგების გამგებლობით მუშაობის განახლებაზე.

პარიზის გაზეთი „ეკლერი“ ფიქრობს, რომ პუანკარემ უკანასკნელ სიტყვაში აგრძნობინა, რომ მოელის გერმანიისაგან ახალ წინადადებებს, რომელიც გადაეცემა განსახილველად საკონტრიბუციო კომისიას.

მიუხედავათ იმისა წინაალმდეგობის შესახებ ყველა დეკრეტები გაუქმებულია, ფრანგების საოკუპაციო მართველობა განაგრძობს მცხოვრებთა ტერორს.

გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცეკამ მოუწოდა თავის წევრებს თავი შეიკავონ ყოველგვარ გამოსვლებისაგან და მხარი დაუჭირონ ცეკას და მთავრობას რესპუბლიკის დასაცავად.

რურში კომუნისტური პარტია ეწევა აგიტაციას და აწყობს დემონსტრაციებსა და გაფიცვებს.

ლიუსელდორფში კომუნისტების წარმოებით სწარმოებს ყველა მაღაროებში გამოცხადებული გაფიცვები, ფიქრობენ, რომ გაფიცვები სხვა ადგილებშიაც გავრცელდება. გაფიცვები მიმართულია არა მარტო საოკუპაციო ძალა-უფლების წინაალმდეგ, არამედ გერმანელ მესაკუთრეთ წინაალმდეგაც. გაფიცულები აცხადებენ, რომ რაკი მთავრობამ უარი სთქვა წინაალმდეგობაზე, საჭიროა მუშებმა იმოქმედონ, რათა განდევნონ ფრანგები.

„ტაიმსი“ საეჭვოდ სთვლის პუანკარეს გამარჯვებას, რადგანაც რურის ოკუპაციის გასო გერმანიის ვალის გადახდის უნარიანობა დიეცა,

ინგლისის კაბინეთმა მოიწონა ბალდვინის მოხსენება პუანკარესთან თათბირის შესახებ.

ბერლინის ეკონომიური მდგომარეობა მეტედ მძიმეა, ყოველ ჟამს მოელიან კომუნასტების გამოსვლას.

### მუშათა მოძრაობა.

**პრაგა.** (ჩეხო-სლოვაკია). ჩეხის რკ.-გზელთა ყრილობაზედ ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანმა ფიმენმა, აღნიშნა რა თეთრი ტერორის გაძლიერება ევროპაში და ის საშიშროება, რომელიც მოელის პროლეტარიატს, მოუწოდა კომუნისტებისა და სოც.-დემოკრატების კავშირისაკენ. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი წინასწარ მეტყველებს ჩეხო-სლოვაკიაში მუშათა მოძრაობის დაღუპვას.

შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ გერმანიაში მუშათა და გლეხთა ძალა-უფლების დამყარებისათანავე საფრანგეთის ბურჟუაზია შეუერთდება გერმანიისას და შეეცდება აქეთკენვე გადახაროს ჩეხო სლოვაკიაც. ჩვენი მიზანია—განაცხადა მან არ დაუშვათ გერმანიის ბურჟუაზიისათვის დახმარების აღმოჩენა.

**ვარშავა.** ლვოვში გაიფიცნენ ქალაქის ყველა წარმოების მუშა-მოსამსახურენი. ელექტრონის სადგურზედ და ქარხანაზედ მუშაობენ ჯარის კაცები აფიცერთა მეთაურობით.

**ვარშავა.** ლოძის მწარმოებლების მიერ წარმოების ხელოვნურად შემცირების გამო, საქსოვი ქარხნების მუშების კავშირი თხოულობს კვირაში 6 სამუშაო დღის დაწესებას. წინაალმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან საერთო გაფიცვით.

**ლონდონი.** მარგარიტა ბონფილდი არჩეულია ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს თავჯდომარედ.

**ნიუ-იორკი.** კანადის ტრედ-უნიონების კონგრესმა მოიწონა კანადის მუშათა პარტიის დაარსების პროექტი.

კონგრესი პროტესტს აცხადებს ინგლისელების მიერ კანადაში 12,000 მეურნე მუშის გაგზავნის გამო და მოითხოვს მათ უკან დაბრუნებას კანადის მთავრობის ხარჯზედ.

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის პროფკავშირთა კავშირის პლენუმის მე-4 სესიაზედ შრომის კომისრის შმიდტის მოხსენებით ს. ს. რ. ა. ითვლება 600,000 უმუშევარი, ე. ი. ყველა მუშა-მოსამსახურეების 80 პროც. ამათში კვალიფიკაციური და სამრეწველოს მუშები შეადგენენ 38-პროც. დანარჩენი საბჭოთა მოსამსახურენი და შავი მუშები არიან.

**რომი.** მუდმივი კონფისკაციის გამო დაიხურა სოციალისტ-მაქსიმალისტების ორგანო „ვოჩე-დელპოპოლო“.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

**პეტროგრადი.** ფინეთის სავაჭრო რწმუნებულმა ხელშეკრულება დასდო რუსეთთან. 160,000 ფუთი ქაღალდის მოწოდების შესახებ, უთავრესად საგაზეთო ქაღალდი.

**პარიზი.** საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმა პრესის წარმომადგენელთან საუბარში აღნიშნა, რომ სამინისტრო არასოდეს ხელს არ უშლიდა საფრანგეთის მოქალაქეთ რუსეთთან ვაჭრობაში. პირიქით მან დაარსა სპეციალური განყოფილება, სადაც დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველგვარი ცნობები რუსეთთან სავაჭროდ.

**კოვნო.** ლიტვის პრემიერმა სალვანოვსკიმ ს. ს. რ. კ. რწმუნებულს ლორენცს გადასცა ნოტა ჩიჩერინის სახელობაზედ ს. ს. რ. კ. ცნობის შესახებ.

## უ ც ხ ო ე თ ი

**ბერლინი.** უკანასკნელ მიწის ძვრის დროს სპარსეთში სრულიად დაინგრა 9 სოფელი, ხოლო 23 სოფელი ნაწილობრივად. დაიღუპა 157 კაცი, დაჭრილია 196.

**ლონდონი.** იტალეთის ესკადრა ისევ მობრუნდა კორფუზედ. მცხოვრებნი შეშინებულნი არიან ამ მობრუნებით. იტალეთის ელჩმა კორფუზედ დაარწმუნა ბერძნები, რომ ესკადრას არა აქვს მტრული მიზნები.

**ბერლინი.** „დჟორნალ დ'იტალიას“ ცნობით, კორფუზედ მოხდა ახალი ინციდენტი: თვითმავალით მიმავალმა 7 ბერძენმა ესროლეს იტალიელ ჯარის კაცების ჯგუფს. ბერძნები დაატუსაღეს.

**პარიზი.** იტალეთის ხმელეთის ჯარი კორფუდან გაყვანილია. ესკადრამ კი განკარგულება მიიღო დარჩეს კუნძულზედ, ვიდრე იტალეთი საბერძნეთისაგან არ მიიღებს 50 მილ. ლირას.

**ვლადივოსტოკი.** იაპონიაში საალყო წესების დარღვევის საბაბით გრძელდება მოქალაქეთა ხოცვა. მოკლულია ცნობილი სოციალისტი ოსუგი, რომელიც ის იყო დაბრუნდა საფრანგეთიდან.

კორეელების შევიწროვება იაპონიაში გრძელდება. არსდება ბანდები კორეელებისა, კომუნისტებისა და სოციალისტების დასარბევად. ასეთი პოლიტიკა ხალხში უკმაყოფილებას იწვევს.

**რომი.** ფაშისტთა შორის დიდი დისკუსია სწარმოებს პარტიის რეორგანიზაციის საკითხზედ.

**ბერლინი.** ნიუ-იორკში ამერიკის ბანკირების კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნა-

ვენ, რომ ამერიკა ზარალობს მთავრობის პოზიციით საგარეო საკითხებშიც და მოითხოვს ევროპის საქმეებში ჩარევას და საკონტრიბუციო კომისიაში წარმომადგენელის გაგზავნას.

**ბერლინი** ჰუნგრეთ-მცირე ანტანტის შორის მოლაპარაკება დამთავრდა, ჰუნგრეთი; იღებს საერთაშორისო სესხს თავის ფინანსების აღსადგენად. დაწვრილებითი გეგმა შეტანილი ექნება „ერთა ლიგაში“.

### ბოლგარეთში

ბოლგარეთის ელჩი რომში უარს ყოფს ხმებს ცანკოვის მთავრობის გადაღგომისა და მეფის მიერ ტახტზედ უარის თქმის შესახებ.

მიუხედავად ბოლგარეთის მთავრობის რწმუნებისა, ვითომც აჯანყება ყველგან, გარდა ბერკოუცისა და ფერდინანდის ქალაქისა, ჩაქრობილია, ბოლგარეთის ოფიციოზური პრესა მაინც აღნიშნავს რომ ბრძოლა გრძელდებოდა ტირნოვისა, ფილიპოპოლისა და სამოკოვის ოლქებში. ბევრი ადგილები აჯანყებულთა ხელშია. სოფიაში დაარსდა სამხედრო კომიტეტი, შემდგარი მთავრობის ერთგულ მაკედონიის ორგანიზაციის წევრებისაგან.

სოფიასა და ბურგასს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ადგილებს შორისაც, კავშირი შეწყვეტილია.

სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, აჯანყებულებმა დაიჭირეს ვადინი, პლევნა და ტირნოვი.

რევოლიუციონერთა ხელში მყოფ ფერდინანდის ქალაქს მთავრობის ჯარმა ალყა შემოარტყა.

სოფიაში კვლავ დააპატიმრეს კომუნისტები.

## ახალი ამბები

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.** ორშაბათს, 1 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში დანიშნულია საკლუბო სექციის საზოგადო კრება. წარსულ ხუთშაბათს შესდგა საბიბლიოთეკო სექციის პირველი სხდომა. შემდეგი მორიგი სხდომა იმავე სექციის დანიშნულია ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს.

— **დამზღვევ კასების რევიზია.** რ. ს. დ. სამართველომ გადასწყვიტა შეუდგეს დამზღვევ კასების რევიზიას, რისთვისაც აგზავნის თავის ინსტრუქტორ-კონტროლიორებს.

— **საბუღალტერო ანგარიშების ახალი ფორმა.** რ. ს. დ. სამართველოს მიერ შემოღებულია და დაეგზავნათ დამზღვევ კასების საბუღალტრო ანგარიშების ახალი ფორმა.

— **აბასთუმანის სანატორიუმი „არაზინდო“** გამოცხადებულ იქნა პროფ-კავშირთა და დამზღვევ კასების საკუთრებად, რომლის შესაკეთებლადაც დამზღვევმა კასამ გაიღო 15 მილიარდი მან.

— **ძმური დახმარება.** რუსეთის ქიმიკოსთა ცენტრალურმა კავშირმა დახმარება აღმოუჩინა საქართველოს ქიმიკოსთა კავშირს ტანსაცმელით.

— **ფოსტა ტელეფონის ახალი ნიხრი.** შემოღებულია 16 სექტემბრიდან.

— **ბროშურა შრომის დაცვის შესახებ.** შრ. სახალხო კომისარიატმა დაადგინა გაცემული იქნეს პოპულიარული ბროშურა შრომის დაცვის დარგში. ბროშურის შედგენა დაევალა ამხ. ელბაქიანს.

— **სამხრეთ ოსეთის შრომის ინსპექტორი.** დაინიშნა ამხ. რომანოზ ხუდიკოვი.

— **შრომის სასამართლოს მეორე კამერის.** თავმჯდომარეთ დაინიშა დ. გაბაშვილი.

— **შეშა მუშებისათვის.** შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა თავის მუშა-მოსამსახურენი მოამარაგოს ოქტომბრამდე.

— **მოზარდ მუშების საცხოვრებელი ბინის მინიმუმი.** შრ. სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის სტატისტიკურს ბიუროს გამოარკვიოს მოზარდი მუშების საცხოვრებელი მინიმუმი.

— **სატელეგრაფო კავშირი.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა მართველობამ აღადგინა სატელეგრაფო კავშირი ტფილისის ტოკიოს, იოკაგამა და იოკოსუკას შორის. ცნობები მიღებული იქნება პირდაპირ მავთულით.

— **შრომის ბირჟა.** 28 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—377 უმუშევარი ახლად ჩაეწერა 126 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა—43 უმუშავარი.

— **უმუშევრების გაწმენდა სოხუმში.** 27 სექტ. სოხუმის შრომის ბირჟის მიერ ჩატარებულ უმუშევართა წმენდის დროს გამორცხული იქნა 896 ულირსი უმუშევარი.

— **ოზურგეთ ნატანების რკ. გზის დამთავრება.** 7 ნოემბერს მოთავებული იქნება ოზურგეთ-ნატანების რკინის გზა.

— **23 სოფელზე შეფობა.** გორის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა თავის თავზე მიიღეს კულტურული შეფობა გორის მაზრის 23 თემზე.

— **შრომის სკოლის რაოდენობა ტფილისის მაზრაში.** ტფ. მაზრაში ამ ჟამად არსებობს 98 შრომის სკოლა. მოწაფეთი რიცხვი უდრის 6,622 სულს.

— **ჯავშნიანი მატარებლის იუბილე.** დიდი ზეიმით ჩატარდა ბათომში 3 წლის არსებობის იუბილე ჯავშნიან მატარებლის № 204-ისა.

— **ვალიუტის ვაჭრობიათვის.** ვალიუტით ვაჭრობისათვის კონფისკაციის წესით ჩამოერთვათ: ხტიკიანს 5 მან. ოქრო, აივაზიანცს 20 მან. ოქროთი, ტერ-ზადარიანცს—10 მან. ოქრო, მინასიანცს—25 მან. ოქრო, ამირაგოვს—4 ლირა და 50 მან. ოქრო.

— **სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.** ტფილისის მილიციის მიერ დაპატიმრებულ იქნენ მოქ. სუმბათაშვილი და მელაშვილი.

— **ბინის გაქურდვა.** მე-6-ე სამილიციო რაიონში გაქურდული იქნა მოქ. ნიკოლოზ კამკამაძის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ბოროტ-მომქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **ქურდების შეპყრობა.** შეპყრობილი იქნა ილიკო კალანდაძე, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. ბარამიძის ბინიდგან ნივთების მოპარვაში. დამნაშავემ აღიარა თავის დანაშაული.

შებყრობილი იქმნა აგრეთვე ანიკო მდინარაძე, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. გასან ალიევის ბინიდგან ნივთების მოპარვა. დამნაშავე გამოტყდა დანაშაულში.

— **ვალიუტის კურსი.**

29 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 52,250,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 48,250,000 | „ |
| ჩეკი. | 46,000,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 10,550,000 | „ |
| ჩეკი. | 9,700,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,350,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 15,000 | „ |

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ ჩვენ ნუმერში, წერილში „საქართველოს ებრაელობა და თარბუთი“ შეცდომაა გაპარული: სწერია—მათთვის მოითხოვენ შველას, უნდა იყოს: მათთვის მოითხოვენ სკოლას; სწერია: ყმაწვილური სიხარულით, უნდა იყოს: ყმაწვილური სიხალისით.

## მიხედეთ!

ენკენისთვის 18, მილიციონერმა თულიამ (სამდლოს სადარაჯოს უფროსთა კოჯორ-მანგლისის გზაზედ) თოფის კონდახით სცემა და ათრია **პროუტის** თემის აღმასკომის თავმჯდომარე **დიმიტრი ბორისოვი**, რომელიც ისე გალეშილი იყო, რომ რას შვრებოდა არ იცოდა და იგინებოდა უშვერი სიტყვებით. როდის მოგვაშორებენ თემკომის ასეთ თავმჯდომარეს?

ა. ვრ.

## პარტიაში

პირველ ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ტფილისის კომიტეტის გაფართოვებული სხდომა.

რაიკომებს და ფრაქციებს შეუძლიათ თითო წარმომადგენელის გამოგზავნა.

მ. სეფერთელაძე.

**ორშაბათს 1 ოქტომბერს „ტრიბუნის“ რედაქციაში საღამოს სრულ 6 საათზე, დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. გასარჩევია გადაუდებელი საკითხები ამხანაგებს ვთხოვ აღნიშნულ დროს გამოცხადდენ.**

სამშაბათს, 2 ოქტომბერს, პარტიის ცენტრ. კლუბში ქალთა ორგანიზაციაში ამხ. საშა ჩხენკელი წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე „დედაკაცი წარსულში“

დასწრება შეუძლია პარტიის წევრთ და თანაგრძნობთ.

## წერილები პეტროგრადიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**სტუდენტობა.** დასრულდა მიღება ახალ სტუ... დენტებისა პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებე... ბში. მთხოვნელთა საერთო რიცხვი წელს უდრიდ... 17,500-ს, მათგან მიღებულ იქნა მხოლოდ 7,65... მიმღები კომისია ახალგაზდათა მიღების დროს ხე... მძღვანელობდა სპეციალური ინსტრუქციით, რომ... ლსაც საფუძვლად ედო კლასობრივი პრინციპი. ... რველ რიგში მოხვდნენ მოვლინებულნი სხვა ... სხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდ... შემდეგ-კი მუშათა, გლეხთა და მოსამსახურე... შვილები, რომლებსაც მივლინების ფურცლები ... ქონდათ, ხოლო ბოლოს დანარჩენი მთხოვნელ... ყოველგან შემოღებული იყო წინასწარი გამოცდ... რუსულ ენაში, მათემატიკაში, ფიზიკაში და პოლ... ტცოდნაში. გამოცდებიდან განთავისუფლებულ... იყვნენ მხოლოდ მუშათა ფაკულტეტებ კურს და... თავრებულები. ამ გამოცდებს არ ქონია კონკურს... ხასიათი, გამოცდით მხოლოდ რწმუნდებოდენ შე... ძლიან თუ არა მისაღებ პირს თავის განვითარ... ბით და ფორმალურ ცოდნით უმაღლეს სასწავლ... ბელში პროდუქტიულ მუშაობის წარმოება.

მიღების შემდეგი გამოიხატა მასში: რ... წელს 95 პროც. მიღებულთა მშრომელთა შ... ლებია.

ახალი სტუდენტობა, რომელიც შარშან შე... დგენდა პირველ კურსზე მხოლო 50 პროც. მშრო... მელთ მასიდან გამოსულ ახალგაზდებს მთელ მიღ... ბულთა რიცხვში, ახალია, არა მარტო ქრონოლ... გიის მიხედვით, არამედ ახალია გარეშეხედულობ... და შინაგან შეცულობით. უპირველესად ყოვლ... თვალს ეჩრება მათი გარეშეხედულება. წინედ ... ლად მიღებული სტუდენტი, რომელ კლასის წა... მომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო, თავდაპირვ... ლათ თავის სტუდენტობას აცნობებდა შემხედვ... ლებს თუ სრულ გადაახლებით არა ლურჯ ქუდ... ან ლურჯ „ტუჟურკის“ და ოქროსფერ ფოლაქებ... მუნდირის შეძენა—ჩაცმა-დახურვით; დღეს ა... იშვიათად დაინახავთ: ყოველი ახალი სტუდენ... თუ ის მართლა სულით და სისხლით პროლეტა... კლას ეკუთვნის, არ მისდევს ეგეთ შემშვენება: ... რგზე ჩამოკიდებული ჩანთა, უბრალო ხალ... ტყავის ქურქი, რუსული ჩექმები—აი მთელი ... შემოსილება.

ახალია აგრეთვე ახალ სტუდენტობის დ... კიდებულება ურთიერთ შორის და პროფესორ... სადმი. ძველ სტუდენტს ეხლაც ვერ შეუთვის... პროფესორში თავის უმფროსი ამხანაგის ... ნახვის აზრი. ის ქუდ მოხდილი, მლიქ... ლობით და სილაქუცით შემოსილი იმ ... საზრებით რომ „საქმე გაიკეთოს“ გამოც... ჩასაბარებლად, არასფერს არ ზოგავს, თავს იკა... ნებს, იმცირებს, დაცინვას სიცილით იღებს, გა... ცდელს ყოველისფერში ეთანხმება, მაღლად ხა... რებს როდესაც პროფესორი აწებებს გაცინ... და ყოყოჩობს, როდესაც პროფესორი მასთან ... ზებს გამოსაუბრებას. ახალი სტუდენტი არც ... ეგეთი თვისების მატარებელი არ არის. პრო...

## პატარა ფელეტონის მაგიერ

### პროვინციის რამე-რუმე

(სურათები)

1

**კვლავ იმერეთი** (Suite)... ორპირის გზა ტაეილზე დავდექი და ველოდებოდი „ჰაეროპლან ზარია ვოსტოკა“-ს.

ლოდინი ამაო გამოდგა „ზარია ვოსტოკა“ ნხის მაზრაში ყოფილიყო და ჩვენსკენ არ გამოუფრენია...

გადავსწყვიტე ფეხით წასვლა.

შევასრულე კიდეც!..

სამტრედია-ქუთაისი ეს მეტად მცირე მანძილია...

აბა რა შემაშინებდა?!.

მივაღწიე „მქუხარე ქუთაისსაც“..

აი, სადგური ერთი მილიციელით და ორი ბუფეტეთი!..

მეტი არავინ ჩემმა მზემ!..

კედლებზე 47 სართულიან ასოებით წარწერა.

არ დალიოთ უდუღარი წყალი!..

ეს ადვილი მისაღწევიც არის ვინაიდან ამ სადგურზე არავითარი წყალი არ არის!..

შევუდექი მთავარ ქუჩას...

საქარის უდაბნოს სიცხე აქ გადმოუტანია ელს განგებას...

ვერავის ვხედავ!..

სახლებიც ცარიელია...

ქუჩებიც უკაცური!..

—

როგორც იყო ბავშვების მცირე ჯგუფს დავეწიე.

„ნებართვა უკვე ავიღეთ და ხვალ გავმართავთ „გრანდიოზული საღამო ვახშამ კაბარეთი“ ამბობენ ბავშვები...

წარმოვადგინოთ „ყაჩაღები“ იძახის ერთი...

არა ამხანაგო „ჰამლეტი“ აჯობებდა უპასუხებს მეორე.

„ჰამლეტი“ უფრო „ესთეტიურია“ (?) ამბობს მესამე...

სიტყვა „ესთეტიური“ მოდაშია იმერეთში.

—

ხონ-ქუთაისის რკინის გზისაკენ ვიბრუნე პირი!..

...მე ბილეთის ყიდვას და ხონში წასვლას ვაპირებდი!..

ვნახე რა ვნახე!?

ელექტრო მავალი მატარებელი, წინ კამეჩები უბია...

„Wagane“-ბს 777 სართულიან ასოებით აწერიათ „ხონის რკინის გზა“.

„ელექტრო გავლები მაჰმადიანთ წვერის საბაირამოდ შესაღებავ ინის ფრად შეღანგულან...

კამეჩები ეწევიან და ეწევიან...

ხონს ძალზე დაახლოვებია რკინის გზა...

სადგურიდან სანიმუშო რკინებით იგი თეთრ ხიდამდეა მისული.

ალბად აქ დიდი სადგური ;აღიმართება.

— ქვე წმ. გიორგიმ დაშუბოს ჩვენი ბედი. ამათ ხონში 25 ვერსტისათვის მიყავთ რკინის გზა და ჩვენს რაჭას...

რაჭას უგზოობით, რომ იღუპება, არავინ ისხენებს, საყვედურობენ რაჭველები...

იწყევლებიან წყალ-ტუბოელები!..

იგინებიან ლეჩხუმელები...

რათ უნდა ხონს რკინის გზა ამბობს ყველა...

ხონის რკინის გზიდან აბრეშუმის „ფაბრიკაში“ შევიხედე...

ეზოში პეპლებმა ლამის დამჭამეს, მთელი პარკი პეპლებად გამოვიდაო.

იძახდენ დედაკაცები...

—

„ბულვარდისაკენ“ მივეჩქარები იქ ვნახავ ქუთაისის ლამაზებს, და ყველას!..

მაგრამ დახეთ...

ბულვარდიც ცარიელი!..

„ლამაზების“ ევაკუაცია დიდი ხანია მომხდარა!..

ორი კაცი შემხვდა...

დავაკვირდი...

სკოლებზე და გამოცდებზე ლაპარაკობდენ...

მასწავლებლები გამოდგენ.

პირველად მე უკაცობას იმით ვხსნიდი, რომ მეგონა იქნებ ყველა ქუთათური „დროსლიგაში“ ჩაეწერა და დაწესებულებაში ბეჯითად მუშაობს...

მაგრამ როცა საღამოსაც ვერავინ ვნახე პროსპექტებზე სამ მილიციელის, 4 მასწავლებლის და 5 წყალის გამყიდველის მეტი, მაშინ მეცა ვსთქვი, რომ „ევაკუაცია“ მართლა მომხდარა თქო.

—

„ბორჯომის“ წინ თვალი მოვკარ იშვიათ ცხვირს...

და „ცისფერთ ყანწების“ იძახდა...

ყველამ მიმატოვა, მაგრამ მე ქუთაისს არ ვტოვებო ამბობდა...

ვაჟკაცობაც ის არი, რომ ერთმა იბრძოლო, „მზე აოსულო, ბალღამი ადინო“ თორემ ათასთან ერთად ბრძოლა რა ესთეტიურიაო დაამატებდა მუჭების კმუშვნით...

ეს იყო კოლაუ..

მარტოდ შთენილი „ცისფერთ“.

კოლაუ...

—

აგერ ოკრიბული დადაღული ცხენი მოათრევს რუმინულ ორბორბალას ზედ „Kautcher“-ი მალხაზი ბიჭია... გვერდში მჯდომი „ბედაურის“ გარეკვაში ეხმარება...

უცებ მოიხადა ქუდი...

ნაცნობმა სამხედრო სალამით (ქუდზე ხელის მიდებით) უპასუხა...

ესეც ძალიან მოდაშია იმერეთში.

ყველა მხედრებია ალაჰის მზემ!..

ორბორბალაში მჯდომი იყო ჯაჯუ ჯ...

თმა არაჩვეულებრივად გაშავებოდა, მხოლოდ კოსტიუმი გათეთრებოდა მტვერისაგან.

ის ზე მიადგა განათლების დეპარტამენტს..

მეც იქ მივდივარ...

ჩემი სულიც იქ არის...

კიდევ მეორე ნაცნობი სახე, მაგრამ ის უცხით მიდის და თან აჩქარებით.

არავის ამჩნევს...

თითქოს თვალებითაც ძუნწობსო...

ნიდის და მე ველარ დავეწიე...

იყო მგონი ნ. ლ.

—

შევედი განათლების დეპარტამენტში...

ე. ი. განათლების შტაბში...

საიდან დავიწყო, ვისზე შევჩერდე არ ვიცი...

კიბეზე ხალხი...

დარბაზები გაჭედილი...

არ არის ფული.

კი არის ფული...

ჩვენ მოვასწარით...

თქვენ ვერ მიიღებთ...

გაისმის ებრაელურ საიარმარკო კილოთი...

ერთ წყებას სახე ულიმით.

ხელში უჭირავთ ფული

და „ჟურნალი განათლება“, კითხულობენ ს... ტიებს „მასწავლებელს“ შველა უნდა.

უხარიათ ეს ცირკულიარი ჰგონიათ. მა... ერთს ეწყინა, რადგან შეჰნიშნა რომ ეს ჩვეუ... რივი სასურველობის სტატიაა... მოწინავეთ ტამბული...

ძალიან არ მოეწონა, როცა ამოიკითხა ... წავლებლის მოვალეობაზე...

„ქართული ენის სწავლების დროს ე. წ. სამზადებელ პერიოდის გამოშვების შესახებ „დისპუტი“...

სადისკუსიო წერილი ზოგს ისევ „ბრძა... ჰგონიათ...

რას ჰნიშნავს ეს „დიკრუსია“ ან მაგი... მოცლა ვის აქვს, არ აჯობებდა რომ პირ... განკარგულება მიეცათ?..

ნაღვლიანად ამბობს ჯობით და ჯორი... სულით მასწავლებელი...

—

ეს პამადას ვერ მიყიდის...

ეს ტუფლებს რას დამიხსნის...

ეს საკაბეს ვერც კი დამაზევებინებს...

გაისმის ქალებში...

და მეროქრამდენი ქალებია...

Les femmes, les femmes, et encore le... mmes.

მეფე ფრანცისკო პირველი ვერ იტყო... დეპარტამენტის შესახებ: une cour sans femm...

ყველაზე დიდ ლაშქრიანი და საქმიანი... პარტამენტი იმიერ საქართველოში განათლები... პარტამენტია...

იმით უდგია ქუთაისსაც სული...

აწ სამტვერო და სამწარო ქუთაისს ალაჭ... შერჩენია!..

—

ის. კვიცარიძეს თავის „იმერეთის“ კან...

სოის ის უცქერის, როგორც უმფროს ამხანაგს. შესახედავათ არ აბანდებს მას ფეხებში, არამედ სადაც აუდიტორიაში მიკუნტული გულდასმით უსმენს ლექციას, აზროვნებს, აზროვნებს დაუსრულებლივ და სადაც ძველ სტუდენტისათვის ლექციაზე დასწრება მხოლოდ პირად სარგებლობის (შესახედავათ) თვალსაზრისით იზომება, იქ ახალი სტუდენტი თავის გონების გასახსნელ და გასაფართოებელ მასალას ეძებს. ჭრელი, ლამაზი სიტყვები მისთვის არ არსებობს, ისინი მის გონებას არ სწვდება, არც გადაჭრილ ჭეშმარიტებას წარმოადგენს მისთვის პროფესორთა შეხედულებანი, ის იმუშავებს გადმონაცემს, კრიტიკულ თვალსაზრისით სინჯავს ყოველ დებულებას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს ამა თუ იმ საბოლოო გადაწყვეტილებას.

სამუშაო—კი მას უზღვავი აქვს: მას არ აკმაყოფილებს მარტო ლექციათა მოსმენა, არ აკმაყოფილებს ვიწრო ფარგლებში სულის და გონების შემწყვდევა, დარბის ლექციებიდან სამკითხველოებში, უკანასკნელიდან მიდის წრეებში სამუშაოდ, აქედგან მიისწრაფის კერძო ლექციების და რეფერატების მოსასმენათ. ეს წყურვილი ყოველივეს შესწავლის, შეგნების, გამოცნობის-დამახასიათებელია ახალ სტუდენტობისათვის.

ამის გამო ახალ სტუდენტობის შეფასება ჩაბარებულ საგნებთა რაოდენობის მიხედვით შეუძლებელია, შეუძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე მატრიკულების მიხედვით; საჭიროა შესაფასებლათ ყოველ მხრივი გამოსცდა. აქ ჩვენ დავინახავთ უდიდეს განსხვავებას ახალ და ძველ სტუდენტობის შორის. გამოცდები ძველ სტუდენტობას შესანიშნავათ ჩაბარებული აქვს, არც გასაკვირელია, რადგანაც გამოცდის ჩაბარება როგორ გზითაც არ უნდა მოხდეს (სიმართლით თუ უსამართლოთ) მის მთავარ ცდას შეადგენს; დილიდან საღამომდის ატუზულია საგამოსაცდელო ოთახის წინ. თავმდაბლათ ქუდის მოხდით ხვდება და აცილებს იერიშ მისატან პროფესორს, გულმოდგინეთ იზეპირებს მის სასიყვარულო კითხვებს და იხელთებს-რა დროს შერბის გაშლილ მატრიკულით, არც იქ, გამოცდის დროს იშურებს ტკბილ სიტყვა პასუხს, თავის დამცირებას და შედეგათ მისი მატრიკული მდიდრდება მორიგ ხელის მოწერით. მაგრამ საკმარისია ამავ სტუდენტის ყოველმხრივი გამოცდა, საკმარისია პროფესორს ეკითხა სხვათა შორის რა არის ინტერნაციონალი, ან და კაპიტალი და მიიღებდა გასაოცარ პასუხს, პასუხს ეგეთნაირსვე ან მსგავს იმისას, რომლითაც გაუმასპინძლდა ერთ ერთი სტუდენტი პოლიტცოდნაში გამოცდის დროს პროფესორს:

— ინტერნაციონალი?—ეს სიმღერაა, რომელსაც მღერიან მუშები დემონსტრაციების დროს.

მეორემ კი არა ნაკლებ სიბრძნით სავსე პასუხი მისტა იმავ პროფესორს კითხვაზე თუ რა არის კაპიტალი.

— კაპიტალი?.. კაპიტალი ეს ღირებულებათა ჯამია, ერთ ადამიანის ხელში დაგროვებული.

— საინტერესოა საიდგან ამოიღეთ კაპიტალის ეგეთი განმარტება. მაშ თქვენ ხელში რომ ხუთი მანეთი ოქროთი შეგროვდეს, როგორ ფიქრობთ ეს კაპიტალი იქნება?—ეკითხება განცვიფრებული გამომცდელი.

— მაშ! დიახაც რომ ეს ჩემთვის კაპიტალი იქნება.

და ალნუსხული კითხვა-პასუხები ანეგდოტი არ გეგონოთ, სრული სიმართლეა და ეგეთი პასუხები ეგრე ხშირია ძველთა შორის, რომ მათ გამოცდებზე მრავალი მოცლილ-მოხეტიალე თანაძმები ესწრებიან სეირის საყურებლად და სიცილ-საკისკისოდ. ეს მაგალითები მოყვანილია მხოლოდ ერთ-ერთი დარგიდან, არას ვიტყვი მეცნიერების სხვა სხვა დარგებზედ, რომელთაც პირდაპირი უშუალო დამოკიდებულება არ აქვთ იმ ფაკულტეტთან, რომელზედაც მოღვაწეობენ ნიშნებისათვის ეგეთი სტუდენტობა; აქ ისინი სწორედ რომ დაწვერულვაშებულ უსუსურ ბავშებს წარმოადგენენ.

ახალი სტუდენტობა ამ მხრივ ძლიერია; ის სუსტია განცალკევებულ საგნების შესწავლა-შეთვისებაში, მაგრამ ძლიერია საერთოდ, ძლიერია თავის ცნობა მოყვარეობით, საერთო განათლების შეძენის წადილით, ვიწრო ქურქში გაუხვევლობით, ძლიერია საგნის, არა ჩაბარებისათვის გაზეპირებით, არამედ საგნის შესწავლა—სამუდამოდ შეთვისებით. ძველის მიზანს ვკლავ—მოხელედ გამოსვლა შეადგენს, ახლისას—საერთო განათლება, თვით გამორგამორკვევა, მოღვაწე გახდომა. ძველი ზეპირობს, ახალი შესწავლის გზით მიიმართება, ძველი მარჯვეა პროფესორთა ხელისმოწერათა შეკრებაში, ახალი სუსტია აქ, მაგრამ ძლიერია მასზე დამყარებულ იმედების გამართლებაში. ძველს ბევრი დრო აქვს თავისუფალი, ახალს დრო არ ყოფნის, ვერ ასწრებს, ამიტომ მოუსვენარია და დაუცხრომელი. ეგეთი უფსკრული სძევს ძველსა და ახალს შორის.

მატერიალური მდგომარეობა სტუდენტებისა ძლიერ ცუდია; ნახევრად სიმშილი, ზოგჯერ შავ პურზე გადავლა, ხშირ მოვლენას წარმოადგენს სტუდენტების ცხოვრებაში. მართალია არსებობს სტიპენდიები, მაგრამ ერთი რომ ეს სტიპენდიები განსაზღვრულია, მეორეც—სტიპენდიები სხვა და სხვა რაოდენობისაა. იმ დროს, როდესაც „მეტალისტების“-ს კავშირის სტიპენდია, 6—7 ჩერვონეცამდის აღწევს ულუფის გარდა, მეორენი მხოლოდ ნახ. ჩერვონეცსაც თუ იღებენ თვიურად. ამ გვარ ბედნიერებითაც მხოლოდ ნაწილი სტუდენტობისა არის დაჯილდოვებული, მეორე წყება სულ არასფერს არ იღებს და თუ წარმოვადგენთ პეტროგრადში არსებულ სიძვირეს და უმუშევრობას ნათელი იქნება ამ ნაწილის ვაი ვაგლახი. სამსახურის შოვნა არა თუ ძნელია არამედ სრულიად შეუძლებელი, ამიტომ შედგენილია სტუდენტთა არტელები, რომლებიც უცდიან ეგეთ შემთხვევებს, როდესაც სადღაც უცაბედათ გაუჩნდებათ ორი-სამი დღის სამუშაო, გადატვირთვა-დატვირთის მოსახდენათ. საუბედუროთ ეგეთი შემთხვევები ძლიერ იშვიათია ხოლმე. ტანსაცმელ-ფეხსაცმელ-სახურავზე ფიქრი ხომ ტყუილუბრალოა, ამისათვის თავსაც არ იწუხებენ.

ტანჯვის, სიმშილ-სიცივის განცდის, მრავალ უბედურებათა გადატანის გზით სჭედავს ხასიათის სიმტკიცეს, მედგრობას, იძენს ჭეშმარიტ ცოდნას ჭეშმარიტ მოღვაწეობისათვის დღევანდელი სტუდენტობა და ამ სიმტკიცე-მედგრობას, ალმასისებრ მჭრელ აზროვნებას, და ფოლადისებრ ურყევ კრიტიკას—თვალთ იხილავთ და იგრძნობთ, როდესაც დაესწრებით სტუდენტთა კლუბებში არსებულ სხვა და სხვა (ლიტერატურული, ფილოსოფიური, მარქსისტული, დრამატიული და სხვა მრავალ) წრეების სხდომებს და გაშინჯავთ მათ საქმიანობას.

თუ აუდიტორიაში მათი გონება იწვრთნება სპეციალობაში, აქ ამ წრეებში მუშავდება საერთო მსოფლმხედველობა, აქ იზრდებიან საერთო მოღვაწენი და პრაქტიკოსები, აქედგან მზადდება მუშაკნი საზოგადოებრივ ასპარეზისათვის.

—

**ქალების მდგომარეობა**. თეორიამ უკვე საკმაო ხანია გადაჭრა ქალთა საკითხი, მაგრამ პრაქტიკამ მხოლოდ შავათ „თეთრ ფურცლებზე ამოქარგული დასტოვა ყოველივე უფლებანი ქალებისათვის მინიჭებული. რა გზითაც არ უდგება ქალთა გამოფხიზლება-გალვიძებას არსებული ხელისუფლება, ყოველი გზა მხოლოდ უშედეგო განვლილ გზათ რჩება, ცდა მხოლოდ ცდათ, ძნელი შეიქნა ქალთა გონების რევოლიუციონიზაცია, ძნელი შეიქნა საერთო მშენებლობაში მათი ჩათრევა. ქალი კვლავ შეკუმშვნილია თავის მონებრივ ქურქში, ის მხოლოდ და მხოლოდ ქმრის მორჩილ-მონად, ბავშების საშობ მანქანად თვლის თავის თავს და რადგანაც თანამედროვე პირობებში ბავშების შენახვააღზრდა ძნელი საქმე შეიქნა, ამიტომ უკანასკნელ დაჩემებულ მოვალეობასაც თავიდან იცილებს, მუცლის მოშლის საშუალებით. რაიც დღეს პეტროგრადში საერთო მოვლენას შეადგენს და მხოლოდ თავის პატრონ-ქმრის შემჩერეა.

დიდი იმედები იყო დამყარებული ქალებზე: მთავრობა ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს რომ ქალები შესძლებდენ აღმზრდელობით გავლენის მოხდენას ქმრებზე, ძმებზე და შვილებზე, ფიქრობდა მათ საშუალებით გაუზრდელობის, ლანძღვა-გინების, დაუსრულებელ და გამრყვნელ ლოთობის, ქურდობის და სხვ. უარყოფით მხარეების აღმოფხვრას მაგრამ ეგეთი იმედები გაცრუვდა. ქალმა ვერ აიწია სათანადო მდგომარეობამდის, მან ვერ შესძლო ქმრის ამხანაგ-მეგობრად გახდომა, ვერ მოახერხა ოჯახის ეგრე მოწყობა, რომ ქმარი სამიკიტნოებიდან გამოეცალა და გარყვნილებისათვის აეშორებია.

რაიონული კონფერენციები, ადგილობრივი კრებები, წრეთა მუშაობა—ყოველივე უშედეგო შეიქნა: ქალმა ვერ სთქვა თავისი სიტყვა, სიტყვა გაბედული, დამოუკიდებელი, სიტყვა საკუთარი, ვერ შესძლო მონურ უღლის ჩამოშორება, ვერ მოახერხა ფართოდ ფრთების გაშლა და საერთო აღმშენობლობაში მტკიცე ნიადაგზე დადგომა.

მინიჭებული უფლებები მხოლოდ ფორმალურ დოქტრინებათ დარჩა, ქალმა მათ გვერდი აუარა და ისევ თავის სამზარეულოში შეიკუმშნა.

უარყოფითი მოვლენაა, სამწუხარო, სავალალო-მაგრამ ეს ასეა პეტროგრადში და არ მგონია, რომ რუსეთის დანარჩენ ქალაქებშიაც ეგრე არ იყოს.

მართალია იქა-აქ, ქალთა გამოხმაურება ამა თუ იმ მოვარდნილ ტალღაზე თითქოს აღვიძებს მიკარგულ იმედებს, მაგრამ ეს ჭიატი ისევ ისევე ქრება როგორც აღიძრა, ისევ ყოველდღიური უშინაარსო შინაბაქმიანობა კლავს გამოხმაურებას ადუნებს ამოძრავებულ სულს. მე არ შეუდგები ამის მიზეზების ალნუსხვას, ეს მიზეზები შორეულ საუკუნოებიდანაა ნერგქმნილნი და ერთბაშად მათი მოსპობა, სულიერად ქალის გარდაქმნა, მისი ხასიათის შეცვლა. შინაჭირვარამიდან მისი ამოყვანა მინიჭებულმა უფლებებმა მარტოდ თავის თავად ვერ შესძლებს.

„ნეპი“ ეხმარება ამ მონურ ცხოვრების გარლმავებას. გარყვნილებამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. „ნეპი“ მოითხოვს მსხვერპლებს და ერთ რიგ მსხვერპლებათ იწირავს ქალთა ახალგაზრდობას. არას დროს პეტროგრადში ეგეთი თავახსნილი და დაუცხრომელი გარყვნილება არ ყოფილა. ქუჩები სახლები, კაფები, კინომატოგრაფები, თეატრები და სხვა სავსეა გარყვნილ, ზნედაცემულ ახალგაზრდა ქალებით, ისე ახალგაზდებით რომ საშინელებასა გრძნობ, როდესაც უცქერი 12—13 წლის ქალიშვილებს ფერებით შეკაზმულებს და ხრიალ ნაფქვევებს, საშინელებასა გრძნობ ქალაქის მომავალზე. ვენერიულ სენები—საყოველთაოა. იჭმება, იხრება ახალგაზრთა ხორცი და სული ამ სენებით. საავადმყოფოები ავსილია ცხოვრებისათვის ნახევრად მკვდარ პირებით და მით უფრო შემზარავია ამ სენთა გავრცელება, რაც უფრო გაითვალისწინებ, რომ სენიანები სოფლებში მიდიან და იქ სენთა მსხვერპლათ ხდიან ცოლშვილს და ახლო მცხოვრებლებს. ცნობა იყო აქაურ გაზეთში, რომ პეტროგრადის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში გაშინჯვის დროს ყველა მცხოვრებნი განურჩევლად სქესას და წლოვანებისა ათაშანგით დასენიანებული აღმოჩნდა. საშინელებაა—მაგრამ სინამდვილეა; ბრძოლა კი თანამედროვე პირობებში თუმცა სწარმოებს (გახსნილია ორი ვენერიული დისპანსერი, იდევნებიან როსკიპები და სხვა) თუმცა ხელისუფლება მრავალ საშუალებას მიმართავს, მაგრამ ყოველი ცდა თითქმის უნაყოფოა, უმფრო პალიატიურ ხასიათისაა, ვინემ რადიკალურის.

—

**სიძვირე** არა თუ დღითი დღე, წუთობით ძლიერდება ცხოვრებისათვის უპირველესად საჭირო სურსათ-სანოვაგე. ყოველისფერი აუარებელია, გატენილია სავაჭროები და მოედნები სურსათ-სანოვაგით, მაგრამ ღირებულება იმატებს დ იმატებს. თუ სად შეჩერდება ეს ორომტრიალი არავინ უწყის; გამოსავალს ეძიებენ, მაგრამ მიღებული ზომები ან სრულიად უშედეგონია, ან და ოდნავ, მხოლოდ საათით, დიდი ერთი დღით, ფასების შემჩერებელი. ჩერვონეცი აქნობამდე ყოველდღიურ 50 მილიონით იმატებს; იყო დღეები, როდესაც 100 მილიონით იმატებდა.

ოქროს მანეთიც ჩერვონეცის მაგივრად იწევს, ხოლო საქონლის მანეთი ორთავეს ასწრებს და მაგალითად დღეს-დღეობით თითქმის ორ ოქროს მანეთს უდრის. ტანსაცმელ-ფეხსაცმელის ფასებ ლეგენდალურია.

გირვანქა პური 30—35 მილიონი მანეთია ერბო 140—170 მილიონი, შაქარი ფხვნილი—115—120 მილიონი, არშინი მატერია საშუალო ხარისხისა 3—5 მილიარდი, ფეხსაცმელები უბრალო—5—6 მილიარდი. მაგრამ ეს ფასები დღეისაა, ხვალ ახალია, ზეგ კიდევ მეტი და ამგვარად მირბის და მირბის შეუწყვეტლივ ყოველ ნივთის ღირებულობა. ვაჭრობს კი პეტროგრადის უმეტესი ნაწილი: დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ბრწყინვალე „ნეპმან“-იდან დაწყებული ყოფილ გენერალ-ადიუტანტამდე. ვაჭრობენ რითაც არ გინდა, აბრეშუმ-ფარჩეულება-ძვირფასეულობიდან დაწყებული, ხუთ ადგილას გაბრზნილ და გამურულ სარკემდე და დაჯანგულ, ნისკარტმომტვრეულ საკლიტულამდე. თუ ერთის მხრივ „სტუმართა ქარვასლის“ ბრწყინვალება თვალს სჭრის მნახველს, ძვირფასეულობათა დალაგებით და „მობრძანდით თქვენო მაღალ აღმატებულებავ“-ის მომართვით, რაიც „ნეპ“-მა კვლავ აღადგინა, მეორე მხრივ მოედნებზე მოვაჭრეთ სრულიად არ სჭირიათ გარე ეფექტაცია: მოედნის ქვაფენილზე გალაგებულია ფეხზე მოვაჭრეთა „ძვირფასეულობა“, რომელიც შესდგება დაფლეთილ, დაგლეჯილ, ნახევრად გამოუდეგარ და დრომოჭმულ სხვა და სხვა საშინაო ნივთებისაგან. აქ ყოფილა „კაკარდა“, ვარსკვლავი და ეპოლეტი ყიდის გადარჩენილ და შემოტოვებულ ავეჯს და ამით ირჩენს თავს; აქედან ის ეჩვევა ვაჭრობას და შემდეგ ყიდვა-გაყიდვას იწყებს. რევოლიუციამ ასწავლა მათ ფულის მამჭინეობა, კრიჟანგული გამოანგარიშება და მოედნის უკულმართობა. რევოლიუციამ ისინი ნევის პროსპექტიდან აქ მოედანზე გადმოისროლა, ხოლო იქ ამათი ადგილი ახალმა, რევოლიუციის მიერ შექმნილ არევ-დარევიდან ამომძვრალმა „ნეპმან“-მა დაიკავა.

საბრალო შესახედავია ეს „ყოფილნი“ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ეს სავაჭრო თანხაც აღარ დარჩენიათ და ქუჩა-ქუჩა დადიან ძველ ფარაჯებში გახვეულნი და მათხოვრობამდის მისულნი აღარაფერს აღარ ერიდებიან.

გული გიწუხდება მათ შეხედვაზე, მაგრამ როდესაც მათ გულ ახდილ საუბარს მოისმენთ. მოისმენთ იმ ზისლს, სასოწარკვეთილ ლანძღვა-გინებას, იგრძნობთ მათ სხეულში გამჯდარ შურის ძიების წადილს არსებულ ხელისუფლებისადმი, მოსისხლე მტრულ შეხედვას ყოველ მუშისადმი, ეს სიბრალული და წუხილი კვლავ საშინელ გულის წყრომათ გექცევათ. ამ მდგომარეობაშიაც კი ვერ დამორჩილებიან ისინი მუშათა ძლევა-მოსილებას, მიწაზე გართხულნი, მიწასთან გასწორებულნი გველურ სისინით სწამლავენ ჰაერს და ელიან... ელიან იმედ დაუკარგველათ, საგოგმანოთ ჩაკუჯნულ, სადღაც კუნჭულებში მიმალულ მენდელებ-ქვეშ-კოკარდა-ეპოლეტების გამომზეურებას და კვლავ თავის ბატონობას.

ამათგან შებრალება და დაზოგვა მოულოდნელია.

მუშათა სისხლი მათ ვერ გააძღებს, მუშათა ხორცის დაქუცმაცებით ისინი არ დაკმაყოფილდებიან—ამიტომაა, რომ აღძრული სიბრალული ისევ გულშივე კვდება.

**ტრიფონ ჩუბინიძე.**

14 სექცემბერი 1923 წელი.
ქ. პეტროგრადი.

---

ზურგზე წამოუკიდნია და ისიც გაჰყოლია ევაკუაციის ტალღას...

ბულვარში ერთი ძეგლი „იბზარება“ მეორე მტკიცეა...

სასეირნო ბილიკებზე ადამწლოვანნი ხეები მოუჭრიათ და დაუყრიათ. ყოველ ბილიკზე არის ყვითელი მიწის გროვა...

ალბად ესპანურად თუ უპირობენ ბულვარს შელესვას...

კიდევ საით წავიდე და ვინ ვნახო არ ვიცი. ბარემ გავსწევ ებრაელთა უბნისაკენ...

ავყევი **თაროხ**, გარე უბნად გაველი...

ორ კაცს (ებრაელს) შუაში ხარი გაუჩერებიათ...

აქეთ იქით ამოდგომოდენ, მე ხელად გადავსახლდი „დაბადების“ წიგნის იდილიაში, ვიფიქრე ალბად მსხვერპლს სწირავენ თქო.

მაგრამ არა...

თურმე ჩვეულებრივი დასაკლავი ხარია...

მესამემ მოიტანა გაალმასებული გაპრიალებული, მაგრამ გველსავით დაგრეხილი ვეებერთელა დანა.

ასეთი ალმასივით დანა ალბად ბევრ ექიმოპერატორსაც მოენატრება.

გაუსვა ერთი შეათამაშა გამოუსვა მეორე და გაჩერდა...

საბრალო ცხოველი დარჩა ცოცხალი... წვალობს, იკლაკნება მაგრამ არ კვდება...

მომე ცოდვილი ყოფილა უფლის მადლმა...

ეუბნება დამკვლელი ხარის გვერდში მდგომს.

თურმე წესი ყოფილა...

ორჯელ გაუსვებენ ხარს, თუ არ წაიქცა ის ცოდვილია და წამებით უნდა დალიოს სული...

ესეც მეოცე საუკუნის კულტურა...

ცუდ გუნებაზე დავდექ...

აწ აღარავის ნახვა არ მაინტერესებს...

მივდივარ მაგრამ საით მე თვით არ ვიცი...

ჩაუარე აქაურ გრანდიოზულ სავაჭრო მაღაზიებს.

ბუზებით იყო სავსე.

ერთში შენობის პატრონი შესულიყო ვაჭარს თავში ჯოხს ურტყამდა ამბობდა.

— მომეც ჩქარა 20 მანეთი ოქრო.

—

— უცებ აქაურ შავ ბირჟაზე გავჩნდი...

— ლიზა დაცემულა ვაი ჩვენი ბრალი...

მოსთქვამდენ მასწავლებლები...

ჯამაგირი რომ მივიღეთ ვალიუტა ვიყიდეთ მაგრამ აი უბედობა...

ვტოვებ ქუთაისს.

მაგრამ საით წავიდე არ ვიცი...

ესე იგი მე ისევ გზაში ვარ და გზიდან „საჰაერო ფოსტით“ განვაგრძნობ „რამე რუმეს“.

Si je vous n'ennugeais!...

**ევროპიელი.**

—

## ტელეგრამა.

**მინაწერი.** სოფლებისაკენ

გზას ვიყავ გამდგარი.....

რადიოთი შემაჩერეს, და სამტრედიის უკანასკნელი ცხელი ამბავი „რამე რუმე“—სათვის გადმომცეს.

—

გაიმართა უუუუდიდესი გრრრრანდიოზული მალამო ესსსსთეტიური... ლორების ჭირისაგან დაფეთებული, ტიფისაგან შერუჯული ექიმი—პოეტი პურ—ჟან—ჟინ, ჟონ, ილოილ ელოილ ოფეთის და კულაშის პათოსით ჰკითხულობდა ესტეტიურ ლექსს...

ტიფიანები, ციებიანები და ლორის ჭირიანები იძახდენ, რომ ამიერიდან მოვიდა ხსნაო.

ჰენიოსმა „პოეტმა“ და ექიმმა ჩვენს გადასარჩენად გამოიგონა უებარი საშუალება „ესთეტიური ლოცვა, ცისფერი მთქნარება“ „ორსული კოცნა“, „ბალღამური“ სიმთვრალე, და კულაშური „სიმყრალე“ რადგან შემოვიდა 000000 თხოვნა, ამიტომ ეს ესთეტიური სალამოები განმეორებული იქნება მთელ საქართველოს ტერიტორიაზე...

**ე—ლი.**

---

# განათლების მუშაკთა სახლის არსებობის წლის თავი

დღეს 29 სექტემბერს „განათლების მუშაკთა სახლი“ დღესასწაულობს თავისი არსებობის წლის თავს.

მეტად რთულ და მძიმე პირობებში უხდებობოდა ამ სახლს ერთი წლის განმავლობაში ეწარმოებია კულტურული მუშაობა.

მთავარი დაბრკოლება ამ სახლის მუშაობისათვის იყო შესაფერ ბინის უქონლობა: „სახლი, რომელშიც ერთიანდება 4.000 განათლების მუშაკი, მოთავსებულია რაღაც 4—5 ოთახში.

ეს გარემოება ხელს უშლიდა და შეუძლებლათ ხდიდა საკლუბო ხასიათის მუშაობას, რაც აუცილებელია ასეთი დაწესებულებისათვის.

სახლს არ ქონდა საკმაო სკამები; მოუწყობელი იყო. აგრეთვე გათბობისა და განათების საქმე. მიუხედავათ ამისა, განათლების მუშაკთა სახლის მუშაობა გასულ წელს საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა.

სახლს აქვს საკუთარი წიგნთ-საცავ სამკითხველო; სისტემატიურათ სწარმოებდა მოხსენებების კითხვა სხვა და სხვა პედაგოგიურ საკითხების შესახებ.

დაარსებულ იქმნა 1 სექცია და 10 ქვე სექცია სხვა და სხვა საგნების შესასწავლათ; სახლმა გამართა 4—5 კონცერტი.

აქვე დაარსებულ იქმნა წიგნების საწყობი, რომელიც აწვდიდა შედარებით იაფ ფასებში საჭირო წიგნებს, როგორც საქართველოს განათლების მუშაკთ, აგრეთვე აჭარას, აბხაზეთს, სომხეთს და სხვ.

არსებობს ორი ჯგუფი ტეხნიკურ მომუშავეთა ქართულ და რუსულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის და საერთო განვითარების მიზნით.

ამ ჟამათ ეს სახლი გადაკეთებულია: სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ცენტრალურ სახლათ. ამიერიდან მან უნდა უხელმძღვანელოს ასეთ სახლებს მთელი რისპუბლიკის მაშტაბით.

გასული წლის ნაყოფიერი მუშაობა არის იმის გარანტია, რომ ეს სახლი მომავალში მეტი ენერგიით შეუდგება თავის ახლად გაფართოებულ დანიშნულების შესრულებას.

მადლობის ღირსია „სახლის" მმართველობა ასეთი მუყაითი და ფხიზელი მუშაობისათვის.

საჭიროა, ვინაც ჯერ არს სასწრაფოდ მიიღოს ზომები, რათა მომავალ წელსაც ზემოაღნიშნული დაბრკოლებანი არ გადაელობონ სახლის მუშაობას.

—რი.

## პროვინციაში

### დ. დიდი-ჯიხაიში.

**სახალხო სახლი.** სახალხო სახლის უქონლობა ძლიერ დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ დაბისთვის. წარმოდგენები ხშირად გარედ იმართებოდა, ხან კი სასწავლებლის ოთახებში იდგებოდა, რაც დიდ უხერხულებას იწვევდა.

სახალხო ლექციების დროს ხშირად დარბაზი მსმენელთ ვერ იტევდა.

კრებები ხშირად ცუდი ამინდის გამო დაშლილა. ბოლოს და ბოლოს უნდა დასმულიყო საკითხი სახალხო სახლის ასაშენებლად.

რამოდენიმე თვეა უკვე გადაიდგა პრაკტიკული ნაბიჯები სახალხო სახლის ასაშენებლად და ყოველ დღე სწარმოებს მუშაობა.

მიზანი ძვირფასია...

**ტეხნიკუმის შენობა.** სასწავლებელთა გამრავლებით და მოსწავლეთა რიცხვის გადიდებით საჭირო შეიქნა ახალი შენობის აგება. ერთი წელი არის თითქმის რაც დაწყებულია ტეხნიკუმის აშენება. სწარმოებს სასწრაფო მუშაობა. რამოდენიმე ათეული მუშები მუდმივ მუშაობს ზედ. მაგრამ სამწუხაროდ იყო ერთი ოფიციალური ცნობა ტეხნიკუმის დახურვის შესახებ, რამდენად გატარდება ეს განკარგულება ამას მომავალი გვიჩვენებს.

**იანეთის სადგური.** სადგურის ასაშენებლად სწარმოებს დაჩქარებული მუშაობა, სამუშაოდ გამოყავთ ხალხი მახლობელ სოფლებიდან. ამ სადგურის ასაშენებლად დიდ ხანს სწარმოებდა მუშაობა. დაწყებული საქმე რომ სასურველად დამთავრდეს საჭირო არის მთელი ენერგიის დაჭიმვა ზედმეტია ამ სადგურის მნიშვნელობაზედ ლაპარაკი რადგანაც ის თვითონ ხალხმა დიდი ხანია შეიგნო, რომელსაც ეხლა საქმით ასრულებს.

ფარი.

### კულტურული მუშაობა სოფლად.

(წერილი ტობანიერიდან)

ზედმეტია დღეს წერა მასზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ ეროვნულსა და სოციალურ კეთილდღეობისათვის ხალხის ფართო მასსაში განათლების ცხოველმყოფელ სხივების შეტანას საერთოთ და კერძოთ სოფელში, მიწის მუშაკთა წრეებში, რომელთა უმრავლესობაც მოკლებულია გონებრივ საზრდოს...

ერთის შეხედვით, თითქოს ჩვენ სოფლებსაც ყურადღება ექცევა, თითქოს მათზეც ზრუნავს ვიღაცა, თითქოს დღეს ყოველ სოფელში სამკითხველოები და სახალხო სახლებია მოფენილი, მაგრამ ვინც საქმეს ახლოს მიუდგება და სოფლის კულტურულ მუშაობაში პირადათ ჩაებმება—იქ დიდ დაბრკოლებებს აწყდება...

ჩემი წერილის მიზანი ეხლა, ამ საკითხზედ ზოგადათ მსჯელობა არაა, რადგან საამისოთ „ტრიბუნაში" ბევრი წერილი იბეჭდება და ხშირათ მეთაურებიც კი... მე მინდა მკითხველ საზოგადოებას გავაცნო მოკლეთ ჯამი იმ მუშაობისა, რომელსაც ადგილი ქონდა ამ ზაფხულის განმავლობაში, ტობანიერის თემში.

ტობანიერის თემში საქმის მოყვარე და შეგნებული ძალები საკმაოა ხსენებულ თემში კულტურულ მუშაობისთვის. აქ არის სამკითხველო, სახალხო სახლი, რომელშიდაც მუშაობს ადგილობრივი დრამატიული წრე და სხვ... წელს, სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა დაარსა ლიტ. წრე, რომლის ერთ-ერთ მიზანთაგანი არის—პოპულიარული ლექციების მართვა ქართულ ლიტერატურიდან და საერთოთ მოძრავება იქ მყოფ ძალებისა კულტ. ფრონტზე გამოყვანით. მართლაც მის შემდეგ, რაც ეს წრე დაარსდა და წესდება ხელისუფლებამ დაამტკიცა—მისი მუშაობა შეუჩერებლივ მიმდინარეობს...

აქ, როგორც ვთქვი არის სამკითხველო. მოდის გაზეთები, მაგრამ არც ერთი მათგანი სამკითხველოს მაგიდას არ ნახულობს. იყო წიგნები. უყურადღებოთ დაიფანტა. ჩვენ მივაქციეთ ყურადღება. ამ სამწუხარო მოვლენის შესახებ ალმასკომს რამოდენჯერმე ოფიციალურათ მივმართეთ წრის სახელით. შეგვპირდენ საქმის მოგვარებას, მაგრამ ამაოთ. სამკითხველო მას შემდეგ სრულებით არ გაღებულა, მიუხედავათ იმისა, რომ გაზეთიც მოდის, შინაც არის და როგორც ვიცით ალმასკომს თუ კომუჯრედს გამგეცა ყავს დანიშნული. რაშია საქმე? ჩვენ ვეკითხებით ალმასკომს, რატომ ის არ ზრუნავს სამკითხველოს შესახებ? თუ მას ეს არ შეუძლია, რატომ ჩვენ არ მოგვანდო მასზე ზრუნვა? ჩვენ მოვითხოვთ სამკითხველო გაიხსას და მის სახელზე მოსული გაზეთები გახდეს ხალხისთვის ხელმისაწდომი. მივაქცევთ ამაზედ მის ყურადღებას უკანასკნელათ, ვინც ამ საქმესთან ახლოს დგას. იცოდეს, რომ ის პასუხისმგებელია.

ლიტ. წრის წინადადებით მოწვეულ იქნა აგრეთვე, დრამატიულ წრის კრება. მოხდა მორიგი წლიური არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის. გამოირკვა, რომ ძველ გამგეობის თამჯდ. სიმონ სულაბერიძის დაუდევრობით სახ. სახლის ქონების ნაწილი, 30 არშინამდე ნარმა და სხვა დაკარგულია. შარშანდელ გამგეობის მოქმედება იდეური მხრივ კრებამ ვერ ცნო დამაკმაყოფილებლად. როგორც გამოირკვა, გამგეობიდან მხოლოთ ერთი, ამხ. ივანე მილორავა იდგა თავის სიმაღლეზე და სწორედ მის საქმისადმი სიყვარულს უნდა მივაწეროთ, რომ ქონების ნაწილი დაკარგვას გადურჩა.

ახალი გამგეობა ენერგიულათ შეუდგა მუშაობას და ლიტ. წრესთან ერთად ყოველ კვირას მართავს, საღამო-წარმოდგენებს ფართო შინაარსით. დადგმულ და გასამართლებულ იქნა „გოგია უიშვილი" „ელეონორა" და სხვა...

საზოგადოებიდან ფართო მასსა მხურვალე მონაწილეობას იღებს გასამართლებაში და პირადათ დავრწმუნდი, რომ მთავარი გმირის გასამართლებას წარმოდგენის შემდეგ მეტათ დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლია... ხალხი უჩვეულოთ აწყდება დარბაზს..

ადგილობრივ მთავრობიდან მადლობის ღირსია ყოველგვარ დახმარების გაწევისათვის ვ. ძნელაძე და პოლიტკომი ლეონიდ კიკაბიძე.

კვირას, სექტემბრის 9 გადოიდა ფართო შინაარსით ლიტ. წრის საღამო. მონაწილეთა უჩვეულო ფუსფუსი და ერთსულოვნება იყო მისი თავდები—რომ საღამო ჩვეულებრივზე უფრო და შინაარსიანი იქნებოდა, მაგრამ საღამოს დაწყების წინ 3—4 საათით შემოდის გალეშილი სიმონ სულაბერიძე და ამხ. ნიკ. ძნელაძე. თქვენ მუსიკა მოგყავთ და ამის ნებას არ გაძლევთო—გვეუბნება ძნელაძე.

მას ვამშვიდებთ და ვეუბნებით, რომ მუსიკა არ იქნება, თუმცა ვინ მისცა მას უფლება მუსიკის აკრძალვისა? შემდეგ მთვრალი სიმონი გვთხოვს მანდატს და მართლაც ზნედაცემულ კაცის ყვირილით იძახის ნებართვა მე მაქვს, საღამოს ჩავშლიო. პირადათ მივმართე ძნელაძეს, და პოლიტკომს—თუ მათ რაიმე გასარკვევი აქვთ ჩვენთან. მობრძანდით და გამოვარკვიოთ. რაშია საქმე? რათ დაგჭირდათ მთვრალი კაცის შემოყვანა აქ? სიმონს წინადადებას ვაძლევ, რიგორც მთვრალმა და როგორც სრულებით გარეშე პიროვნებამ დარბაზი დატოვოს—ის ფიზიკურ შეურაცყოფისათვის იწევს... საქმის გარკვევის შემდეგ ძნელაძე ხვდება, რომ ის შეცდომაშია შეყვანილი და საქმის გამოსარკვევათ ვნიშნავთ სხდომას. გვიკვირს—რისი ნებართვა აქვს მოქ. სულაბერიძეს? ირკვევა, რომ ის, როდესაც შემთხვევით ტფილისში მოხვდა ამ სამიოდ დღის წინ მას და ამბერკი შარაშენიძეს შეუდგენიათ სია „დრამ. კოლექტივის" დაუმტკიცებია სახელოვნო ცენტრში და ეხლა ყვირის, მე „დრამ. კოლექტივის" სახელით ვლაპარაკობო. „კოლექტივის" სია სახელდახელოთაა ტფილ. შედგენილი. წევრებმა არაფერი იციან და როდესაც გაიგეს, რომ მათი სახელით, მათ დაუკითხავათ სხვა ვაჭრობს—გაკვირვებასთან ერთად პროტესტს გამოსთქვამენ ბ. ინიციატორების თვალწინ სიმონი საჯაროთ ყვირის, ის არც კი შეეკითხება ვინმეს—ისე შეადგენს სიას. ყველაფერი—ყველაფერი, მაგრამ ვინ მოქცათ ამის უფლება ბ. ამბერკი და სიმონ? სხვისი სახელით ასეთი „სინდისიერ" საქმის გაკეთება—ნუთუ უდიდესი დანაშაული არარი... მაგრამ ამაზე სხვაგან და სხვა დროს...

დაუშვათ „კოლექტივი" კანონიერია—მაინც ვინ მოგცათ უფლება ვინმეს საღამო ჩაუშალოთ?!. კარგია, როცა ადამიანს სინდისთან ერთად—დანაშაულის ჩადენის გრძნობა ეკარგება. ჩვენ სათანადო ნებართვები გვქონდა და თუ არა—სად იყო ხელისუფლება?

მოქ. ამბ. შარაშენიძე აცხადებს „ბრძნულად" ლიტ. წრე და საღამოს მართვა მას არ გაუგონია. მან საკადრისი პასუხი მიიღო ამისთვის. ამით გაწიწმატებული ის უკვირს, რომ მას უფლება აქვს პიროვნებას და კერძოთ მე მიბრძანოს.

მიუხედავად იმისა, რომ მონაწილენი საშინელ ნერვიულ მდგომარეობაში ვიყავით, საღამო მაინც ჩავატარეთ.

საერთოთ სოფლის ადმინისტრაცია და ხელისუფლება სათანადოთ ვერ ეხმარება ამ დარგში მომუშავეთ. თავის სიმაღლეზე მხოლოთ პოლიტკომი და ალმასკომის თავმჯდომარე იყო.

საჭიროა მეტი სიცხოველე, საჭიროა ინტრიგანთა ალაგმვა. აქ თავს ვიკავებ ნიკ. ძნელაძის ქცევაზე რადგან მჯერა, რომ ის შეაიცდინეს...

ჩვენ კი ვერც სულამბერიძეების საზიზღარი ქცევა, ლოთური ყვირილი და ვერც ამბერკი შარაძენიძისებური უნიადაგო მუქარა ვერ დაგვაფრთხობს· მით უფრო, მათ ჩაიდინეს უდიდესი დანაშაული ყალბი სიის შედგენითა და დამტკიცებით... თვითნებობის გამოჩენით... რაც შეეხება „ზნეობის ფარგლებს—ამას არ ვახსენებ, რადგან ეს ყოველგვარ კრიტიკის დაბლა დგას.

მაშ მხნეთ მეგობრებო, შევიტანოთ ჩვენი წვლილი ჩვენი ერის წინსვლის ისტორიაში... ზიზღი ყველა მათ—ვინც პირადულ ანგარიშით გატაცებულნი ხელს შეგვიშლიან!

გრ. შავგულიძე.

## ხელოვნება

### საოპერო თეატრის პერსპექტივები

6 ოქტომბერს იხსნება ზამთრის საოპერო სეზონი კომპოზიტორ არაყიშვილის ნიჭიერ ნაწარმოებით „თქმულება შოთა რუსთაველზე".

სახელმწიფო აკადემიურ თეატრების ახალი დირექტორი ვლადიმერ სვიმონიშვილი დიდ საქმის ცოდნას იჩენს და დიდს ენერგიას ხარჯავს, რათა სეზონმა რაც შეიძლება მხატვრულად ჩაიაროს.

საოპერო დასი მეტ ნაწილად განახლებულია. დრამატიულ სოპრანოს პარტიის ასასრულებლად მოწვეულია მოსკოვიდან ზიმინის ოპერის მსახიობი ქალი პანკრატოვი; მეცცო-სოპრანოს პარტიის (საპასუხისმგებლო) ასასრულებლად მოწვეულია პეტროგრადის ყოფილ მარიინის ოპერის მსახიობი ქალი რებოკე; დრამატიულ ტენორის პარტიისთვის—ევლახოვი; ბარიტონის პარტიისთვის—დევლეთი (ოდესის ოპერის პრემიერი); ლირიულ ტენორის პარტიისთვის—კიევის ოპერის პრემიერი ზავალოვი.

ხელმეორედ მოწვეული არიან დასში: ელიოზიშვილი, ფალიაშვილი და მეორე პარტიებისთვის—თარხნიშვილი, ვენაძე და წარსულ გაზაფხულზედ კონსერვატორიაში, პროფესორ ჯაყელის კლასში, წარმატებით კურს დამთავრებული ქაშაყაშვილი.

განახლებული იქნება აგრეთვე რეპერტუარიც, რომელშიაც განზრახულია შეიტანონ სამი ოპერა ვაგნერისა (ტრისტან და იზოლდა, ტანგეიზერი და ლოენგრინი). განახლებული იქნება: 1) ჯორდანოს საუცხოვო ოპერა „ანდრე შენიე" (სიუჟეტი ალებულია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ეპოქიდან), 2) დ'ალბერის პოეტური ნაწარმოები „ველზედ" (Giefland) და 3) ვილჰელმ ტელი—როსსინისა. განზრახულია აგრეთვე ჯერ არ დადგმული რიმსკი-კორსაკოვის ოპერა—ზღაპარი „ოქროს მამალი".

დადგმული იქნება აგრეთვე მთელი რიგი ქართული ოპერებისა: ზაქარია ფალიაშვილის მიერ ახლად დაწერილი ოპერა „დაისი" (სიუჟეტი ალებულია საქართველოს ცხოვრებიდან მე-16 საუკუნეში) დაიდგმება ნოემბერში. ოპერას დასდგამს მარჯანიშვილი. განმეორებული იქნება არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" (ამ ოპერით იქნება სეზონი) და ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". უკანასკნელს დასდგამს რეჟისორი მარჯანიშვილი სულ ახალს „ზღაპრულს" ფერებში.

ახალგაზრდა, ჯერ ნაკლებად ცნობილმა კომპოზიტორმა ლევან ფალიაშვილმა სახელოვნო კომისიაში განსახილველად წარადგინა თავისი პირველი ოპერა, რომლის სიუჟეტიც ალებულია შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნიდან".

წინა სეზონებში მომღერალ მსახიობებიდან ხელმეორედ მიწვეული არიან: ქალები: ბოკოვი (ლირიული სოპრანო), პოპოვი (კოლორატურული სოპრანო), ვაჟები: სარაჯიშვილი (ტენორი), საბინინი და ისეცკი (ბანები) და კრიჟანოვსკი (ბარიტონი).

განზრახულია აგრეთვე იტალიელ მომღერალთა როტასი, ბარრერისა და ვაგგის გასტროლები.

პ. ბებუთოვი.

### დუნკანი აზარპეტიანის სკოლაში.

ქ. ტფილისში არსებობს სრბუი ლისიციან—აზარპეტიანის ცეკვის სკოლა. უკვე რამდენიმე ხანია რაც ეს სკოლა ყოველ წლიურად ჰმართავს თავის გამოსაცდელ საღამოებს ოპერის თეატრში და პრესაც ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობა ხოლმე.

ეს სკოლა ნაწილობრივ მიმდევარია აისედორა დუნკანის თეორიების:

აისედორა დუნკანი თავის დროს ერთად-ერთი ქალი იყო, რომელმაც უარჰყო „ბალეტური ხრიკები" აირჩია პლასტიური მიმოხვრანი და თამამად, შიშველი ტანით გაალვიძა ძველ ელლინთა სილამაზე.

დღეს დღეობით, სიმართლე უნდა ითქვას, რომ აისედორა დუნკანს, როგორც ასეთს, ბადალი არა ჰყავს მთელს მსოფლიოში.

არსებობს მრავალი პლასტიურობის შესასწავლი სკოლა, როგორც ევროპაში ისე რუსეთში, და ყველა ცდილობს ძველი ტრადიციების უარყოფას და დუნკანის ხაზის ალებას, მაგრამ აგრეთვე არის ისეთი სკოლა, რომელთაც არა სწამთ (სავსებით) დუნკანის თეორიები და მიზნად ისახავენ თავის ახალი ძიებანი გააფართოვონ.

ერთი ასეთ სკოლათაგანი არსებობს ტფილისში რომელსაც განაგებს სრბუი აზარპეტიანი, ეს მანდილოსანი თავის ქმართან (მისი ქმარი მხატვარია და პოეტი) ცდილობს შექმნას ახალი მიმართულება ქორეოგრაფიულ დარგში. თვითონ ქ-ნი სრბუი მეტად განათლებული ქალია, იცის ოთხი უცხო ენა და, ნაკითხობასთან ერთად შემოქმედური ალღოც საკმაოდ აქვს.

აი, ოთხშაბათს, სექტემბრის 24-ს ამ სკოლამ თავისი პაწია საღამო გაუმართა აისედორა დუნკანს, რომელსაც დაესწრო თვით დუნკანიც. ხალხი მოპატიჟებული იყო ბარათებით. მაგრამ... მე დღესაც ჩემი თავი სიზმარში მგონია.. გათავდა პირველი განყოფილება. სკოლის გამგემ—ქ-ნ სრბუიმ გერმანულ ენაზე მიმართა დუნკანს ნაკლის თუ ღირსების ალსანუსხავად. მაგრამ დუნკანმა დაიწყო ლაპარაკი მომაღლო ხმით და სახის ნაოჭებზე ვატყობდი, რომ არ მოსწონდა, არ მოწონებას ვინა ჩივის, იგი წამოდგა სავარძლიდან, ჯერ მიიდო ხელი შუბლზე აღშფოთების ნიშნად, მერე ორივე ხელი გაასავსავა, და ყვირილით, დემონსტრატიულად დასტოვა დარბაზი. ხალხის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

აშკარაა დუნკანს ქ-ნ სრბუის პლასტიური სკოლა არ მოეწონა, ჯავრობდა ალბად იმიტომ, რომ მისმა გადასროლილმა თესლმა თავისებური ნაყოფი არ გამოიღო—მაგრამ დუნკანი სცდებოდა: აკი ქ-ნი სრბუიც უხსნიდა, რომ ის მიმდევარია დელსარეტის სისტემის და მას არცა ჰქვიან დუნკანის სკოლის სახელი და სხვ. მაგრამ დუნკანი არა სცხრებოდა. აზარპეტიანების მირთმეული თაიგული, ნიშნად საჩუქარის უკან დაბრუნებისა დააგდო იატაკზე სწორედ მოცეკვავეთა ფეხქვეშ და შურდულივით გავარდა გარედ.

კიბის საფეხურზე ერთი კიდევ გაჩერდა—ალბად იგრძნო უხერხულობა—და ხელი გაუწოდა საღამოს გამგეს. უკანასკნელმა ხელი არ მისცა. დუნკანის მიერ დატოვებული თაიგული ქალიშვილებმა ფეხით გასჯიჯგნეს. ხალხი კი მიესია დუნკანს და უხმოდ შესცქეროდა. დუნკანის ანტერპრენიორი ამშვიდებდა ხალხს, რომ დუნკანს ასეთი სკოლა არა სწამს, რომ ის მიმდევარია ბუნებრივობის და სხვ. მაგრამ ხალხი ეუბნებოდა, რომ უცოდველი არავინ არ არის ქვეყანაზე და ასე პირადებით დაწუნება სკოლის, ასე ცივი წყლის გადასხმა მოწაფეებისა—არ არის კულტურული და ზრდილობიანი საქციელი.

ერთი ლიტერატორი ეუბნებოდა გერმანულად დუნკანს—ჩვენც ბევრი რამე არ მოგვეწონა თქვენი უკანასკნელი გასტროლის დროს, მაგრამ ბოლომდე ვიყავით თეატრშიო... ერთი სიტყვით ტაშით მიღებული სტუმარი სტვენით გაუსტუმრეს გარედ შეიქმნა ისეთი ჯილჯილი, ისეთი ატმოსფერა, რომ მე ვიფიქრე ეს ამბავი სწორედ საგაზეთოა მეთქი. და აი, ჩემ მიერ მსჯავრ დაუდებლად და უკომენტარიოდ ვარდგენ რედაქციაში ამ ამბავს და არ ვიცი იქნება მეც უზრდელობას ჩავდივარ ამ ამბის გამოქვეყნებისათვის...

სურათი კი მეტად დამაფიქრებელი იყო..

რაშიდ ვარდანოლლი.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს;

„რაბოჩაია პრავდას" № 168-ში ვილაც მუშკორი „ბეზიზვესტნი" ეხება ჩემ საქციელს 19 სექტემბრის „ახალ წრეში" გამართულ საღამოზე.

მუშკორი ყალბ ხმებს ავრცელებს ჩემს შესახებ.

19 სექტემბერს მე „ახალ წრეში" მივედი მოლარესთან და ვთხოვე ბილეთების გასინჯვა და ჩემი მანდატიც გადავეცი. მოლარის ამხანაგმა ხმა აიმაღლა და შემდეგი სიტყვებით მომმართა „უბირაიტეს კჩერტიამ, ია ვაშ მანდატ ნე პრიზნაიუ".

მოლარის ამხანაგი არ იძლეოდა უფლებას ბილეთები გამესინჯა. უკიდურეს შემთხვევაში მეც ხმა ავიმაღლე და მოვითხოვე კანონიერ ფარგლებში, ჩემი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მე ხმა პირად საქმეს არ ვასრულებდი. ჩემი სამსახურის საქმეს შეადგენდა ამ საქმის მოგვარება. ისინი ყიდდენ ბილეთს რომლიდანაც საერთო წესის მიხედვით უნდა გადაეხდევინებინათ 500.000 მ. ალმასკომის სასარგებლოთ. ამის მაგიერ ისინი ყიდდენ ინვალიდების მარკებს. მე არსებული კანონიერი წესის შესრულება მოვითხოვე ადმინისტრაციიდანაც.

ვინაიდან არაფერი გავიდა მე დავსტოვე ადგილი და წაველი სხვა სანახაობის სარევიზოთ.

საქმე ასეთი იყო.

არ ვიცი რად დასჭირდა „ბეზვეესტნის" ცილის წამება. ჩემ სიმართლეს დამიმოწმებს იქვე მდგომი ბალის კანტროლიორი პეტრე ჩახუნაშვილი.

აკაკი ქამუშაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა:** 1) ტფ. სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მოცემული 1923 წ., დაბადებული 1895 წ., 2) მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 1444 30 დეკ. 1922 წ., 3) გაზ. „ტრიბუნის" კორექტორობის მოწმობა. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად.

გიორგი ალექსის ძე მაღრაძე.